



შუახევის მუნიციპალიტეტის მერის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დაბა შუახევი

N 06-298  
15/05/2018

298-07-4-201805151108



ა(ა)იპ „შუახევის კულტურის ცენტრის“ წესდებაში  
ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის – „მდგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 1 სექტემბრის N06-57 ბრძანებით დამტკიცებულ ა(ა)იპ „შუახევის კულტურის ცენტრის“ (ს/ნ 247865252) წესდებაში და დამტკიცდეს თანდართული დანართის მიხედვით.

2. ბრძანების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენისა და რეგისტრაციისთვის ყველა აუცილებელი ღონისძიების გატარების უფლებამოსილება მიენიჭოს ა(ა)იპ „შუახევის კულტურის ცენტრის“ დირექტორს მაკა მაკარაძეს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ფრიდონ ფუტკარაძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

დანართი  
დამტკიცებულია  
შუახვევის მუნიციპალიტეტის მერის  
2018 წლის .... №06--- ბრძანებით

**კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „შუახვევის კულტურის ცენტრი“- ს წესდება**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

ა) შუახვევის კულტურის ცენტრი (შემდგომში- კულტურის ცენტრი) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს და მისი დამფუძნებელია შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულო;

ბ) კულტურის ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით;

გ) კულტურის ცენტრი სარგებლობს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის უფლებებით;

დ) კულტურის ცენტრი კანონმდებლობით და ამ წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად, საკუთარი სახელით იძენს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს, კისრულობს მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის სასამართლოში მოსარჩლედ და მოპასუხედ, აგრეთვე მესამე პირთან ურთიერთობაში.

ე) კულტურის ცენტრს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი, შტამპი და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები, ის ანგარიშსწორებას აწარმოებს სახაზინო ანგარიშიდან;

ვ) კულტურის ცენტრის იურიდიული მისამართია: დაბა შუახვევი რუსთაველის ქ. №28

**მუხლი 2. კულტურის ცენტრის ძირითადი მიზნები, ამოცანები და საქმიანობის მიმართულებები კულტურის ცენტრის ძირითადი მიზნები და ამოცანები:**

ა) ქართული კულტურის პოპულარიზაცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ;

ბ) კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების, კონკურსების, ფესტივალების, ტრადიციული დღესასწაულებისა და საიუბილეო ღონისძიებების დაგეგმვა-ორგანიზება;

გ) ხალხური შემოქმედების - მუსიკალური, ქორეოგრაფიული, ზეპირსიტყვიერი და ხალხური რეწვის ნიმუშების მოძიება, აღრიცხვა, შეკრება, შესწავლა და პოპულარიზაცია; სახალხო მთქმელების, ინდივიდუალური შემსრულებლებისა და ტრადიციის მატარებელი ანსამბლების გამოვლენა; ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, თამაშობების, მივიწყებული ტრადიციული დარგების აღდგენისა და პოპულარიზაციისათვის ზრუნვა;

დ) საარქივო ფონდის შექმნა - ფოლკლორის ფოტო, აუდიო-ვიდეო ჩანაწერებისა და საექსპედიციო მასალების შეკრება-კატალოგიზაცია; ბეჭდვითი პუბლიკაციებისა და ტელე-რადიო გადაცემების აღრიცხვა; ხალხური მუსიკალური საკრავების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების დაცვა.

ე) კულტურის ცენტრის ბიბლიოთეკების საცავებში დაცული ფონდის (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები) სარგებლობის უზრუნველყოფა, დაინტერესებული პირებისათვის საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პირობების შექმნა;

ვ) შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა და ამ დოკუმენტებით მოსახლეობის მომსახურება, როგორც ადგილზე გაცემით, ისე ასლების მიწოდებით;

ზ) საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ გამოცემული წიგნებითა და ნაბეჭდი მასალებით ბიბლიოთეკის ფონდის შევსება – გამდიდრება, არსებული ფონდის მოვლა და დაცვა, მკითხველისათვის კულტურული მრავალფეროვნების ხელმისაწვდომობისა და თვითგანვითარებისათვის პირობების შექმნა;

თ) მკითხველის მოზიდვის მიზნით სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება;

ი) საბიბლიოთეკო ქსელის ელექტრონული მომსახურების სერვისის შექმნა;

კ) სამუზეუმო ფონდის შევსებისა და სრულყოფის მიზნით შუახვევის ისტორიასა და კულტურულ ცხოვრებასთან დაკავშირებული მატერიალური კულტურის ძეგლების მოძიება, შეკრება, შეძენა ან შემოწირულობის სახით სამუზეუმო ფონდში დაცვა;

ლ) სამუზეუმო ფონდის ექსპონატების დაკომპლექტება, შენახვა-დაცვა, მეცნიერულად შესწავლა და პოპულარიზაცია; აგრეთვე, არქეოლოგიურ ექსპედიციებში მონაწილეობა, სამეცნიერო სემინარებისა და დროებითი გამოფენების მოწყობა;

მ) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის თანამედროვე და ტრადიციული სასწავლო-აღმზრდელობითი პროგრამების შემუშავება და მართვა;

ნ) ხელოვნების სხვადასხვა დარგის შემსწავლელი წრეების ფუნქციონირება;

ო) ჯგუფური შემეცნებითი ლაშქრობებისა და ექსკურსიების ჩატარება;

2. კულტურის ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

ა) შემოქმედებითი, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა;

ბ) ტრადიციული ხელოვნების - ფოლკლორის შესწავლა-პოპულარიზაცია;

გ) ლიტერატურისა და თანამედროვე ხელოვნების განვითარება;

დ) საბიბლიოთეკო საქმიანობა;

ე) სამუზეუმო საქმიანობა

ვ) მოსწავლე-ახალგაზრდობასთან სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა;

### **მუხლი 3. კულტურის ცენტრის უფლებები და ვალდებულებები**

1. კულტურის ცენტრს დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად უფლება აქვს:

ა) აწარმოოს მოლაპარაკებები და დადოს გარიგებები, აგრეთვე განახორციელოს სხვა იურიდიული ქმედებები, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ორგანიზაციებთან, მათ შორის, დაამყაროს საერთაშორისო ურთიერთობები.

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, განახორციელოს დამხმარე სახის სამეურნეო-კომერციული საქმიანობა, თუკი ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები მოახმარდება ცენტრის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას;

გ) დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს თავისი განვითარების პროგრამა, კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვროს გაწეული მომსახურების (მუზეუმების, გიდეების, დარბაზების გამოყენების) ღირებულება;

დ) განსაზღვროს კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტებით ცენტრით სარგებლობის წესები, მიიღოს შესაბამისი ზომები კულტურის ცენტრისადმი მატერიალურ ზიანის მიყენების შემთხვევაში;

ე) განახორციელოს „კულტურის შესახებ“, „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონებით, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“ და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული უფლებამოსილებანი;

ვ) დროებითი, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით ფიზიკურ და იურიდიული პირებს გადასცეს მის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონება;

ზ) განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, საწარმოსა და პარტნიორის ინტერესებს.

## **2. კულტურის ცენტრი ვალდებულია:**

ა) წარმართოს თავისი საქმიანობა საქართველოს კონსტიტუციის, „კულტურის შესახებ“, „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“, „სამუზეუმო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონებისა და ამ წესდების შესაბამისად;

ბ) წარმართოს შრომითი (მათ შორის სახელშეკრულებო) ურთიერთობანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებები;

დ) დაიცვას ცენტრის მომსახურებით მოსარგებლე პირთა უფლებები.

## **მუხლი 4. კულტურის ცენტრის სტრუქტურა :**

1) ადმინისტრაცია

ა) დირექტორი

ბ) მოადგილე

გ) ბუღალტერი

დ) ტექნიკური პერსონალი

2) ფოლკლორული ანსამბლები

ა) ხალხური სიმღერის ანსამბლები

3) ქორეოგრაფიული ანსამბლები

ა) ქორეოგრაფიული ანსამბლები.

2) მოსწავლე ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილება

ა) მოსწავლე-ახალგაზრდობასთან მუშაობის პროფილური წრეები.

3) სამუზეუმო და საბიბლიოთეკო განყოფილება

ა) მუზეუმები

ბ) ბიბლიოთეკები

გ) არქივი

4) სალოტბარო სკოლა

ა) რეგენტი.

ბ) ლოტბარი.

## **მუხლი 5. კულტურის ცენტრის ხელმძღვანელობა**

1. კულტურის ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს შუახვევის მუნიციპალიტეტის მერი.

2. კულტურის ცენტრის დირექტორის არყოფნის, უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან შეწყვეტის შემთხვევაში ცენტრის დირექტორის მოვალეობის შესრულებას შუახვევის მუნიციპალიტეტის მერი ავალებს კულტურის ცენტრის სხვა თანამშრომელს;

3. კულტურის ცენტრის დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობს კულტურის ცენტრის საერთო საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;

ბ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს ცენტრს ყველა ინსტანციაში, გასცემს მინდობილობებს, კულტურის ცენტრის სახელით დებს გარიგებებს;

გ) მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად განაგებს კულტურის ცენტრის ქონებას და საფინანსო სახსრებს, პასუხისმგებელია მათ კანონიერ გამოყენებაზე;

დ) მერთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს კულტურის ცენტრის მოსამსახურეებს, საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად წარმართავს შრომით ურთიერთობებს;

ე) მუშაობის ძირითადი მიმართულების შესაბამისად შუახევის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით ამტკიცებს კულტურის ცენტრის სტრუქტურას, საშტატო ნუსხას და თანამდებობრივ სარგოებს;

ვ) ამტკიცებს დაწესებულების შინაგანაწესსა და სამსახურებრივ ინსტრუქციებს;

ზ) პასუხისმგებელია თანამშრომლების შუახევის კულტურის ცენტრის მიერ დაწესებული წესების ბრძანებებისა მოთხოვნების შესრულებაზე.

თ) ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები რათა ყველა თანამშრომელმა მიიღოს მონაწილეობა ორგანიზაციის წინსვლასა და განვითარებაში.

ი) განსაზღვროს შრომის კოდექსის შესაბამისად თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებების და თანამდებობრივი სამუშაოს ვალდებულებების შესრულება.

4. უფლება აქვს თანამშრომლების მიმართ გამოიყენოს შემდეგი დისციპლინური ღონისძიებები

1.სამუშაო პროცესში გამოვლენილი წარმატებისთვის თანამშრომლების მიმართ უფლება აქვს გამოიყენოს შემდეგი წახალისების ღონისძიებები

ა) მადლობის გამოცხადება

ბ) ფულადი და ფასიანი საჩუქრით დასჩუქრება

2.უფლება აქვს გამოიყენოს შემდეგი დისციპლინარული ღონისძიებები.

ა)შენიშვნა

ბ)საყვედური

გ)ფულადი სანქცია

დ)სასტიკი საყვედური

ე)შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა სამსახურიდან დათხოვნა

ვ) დირექტორი ვალდებულია შუახევის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგინოს გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველკვარტლური და წლიური ანგარიში ყოველი წლის და კვარტლის მომდევნო თვის 20 რიცხვამდე;

ზ) გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს - ბრძანებას რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად კულტურის ცენტრის ყველა თანამშრომლისათვის.

თ) ასრულებს კანონმდებლობით და ამ დებულებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

5. კულტურის ცენტრში არსებული ფოლკლორული ანსამბლების რეპერტუარს ადგენენ ანსამბლის ხელმძღვანელები რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან კულტურის ცენტრის დირექტორის წინაშე.

6. სტრუქტურული ერთეულები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მერის ბრძანებით, წინამდებარე წესდებით, კულტურის ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი (ბრძანება) აქტებით;

## **მუხლი 6. კულტურის ცენტრის საქმიანობის კონტროლი**

1. კულტურის ცენტრის საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას;

2. კულტურის ცენტრის კონტროლის განმახორციელებელი ორგანო კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილების ფარგლებში არის შუახვევის მუნიციპალიტეტის მერი, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარმოდგენა;

3. კონტროლის განმახორციელებელი ორგანო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს კულტურის ცენტრის არამართლზომიერი გადაწყვეტილება;

4. კულტურის ცენტრს მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს და მის ძირითად საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის სამსახური.

## **მუხლი 7. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას**

1. ცენტრს მხოლოდ შუახვევის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით აქვს უფლება განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

- ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და ვალდებულებებით დატვირთვა;
- ბ) ისეთი გარიგებების დადება, რომელიც გულისხმობს ფინანსური ვალდებულებების აღებას;
- გ) სხვა გადაწყვეტილებები კულტურის ცენტრის ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს;

## **მუხლი 8. საბუღალტრო ანგარიშგება და კონტროლი**

1. კულტურის ცენტრი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს შუახვევის მუნიციპალიტეტის მერს.

2. შუახვევის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია განახორციელოს კულტურის ცენტრის საფინანსო კონტროლი შუახვევის მუნიციპალიტეტის მერის შიდა აუდიტის სამსახურის ან დამოუკიდებელი აუდიტის მეშვეობით;

## **მუხლი 9. კულტურის ცენტრის ქონება**

1. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად, კულტურის ცენტრის ქონებას წარმოადგენს მისი ფინანსური სახსრებით შეძენილი ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და სახელმწიფო ორგანოების მიერ გადაცემული შენობა-ნაგებობანი, ინვენტარი, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა. ასეთ ქონებაზე კულტურის ცენტრს აქვს უსასყიდლო სარგებლობის, ხოლო ადგილობრივ თვითმმართველობას საკუთრების უფლება.

2. კულტურის ცენტრის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადადის ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში.

## **მუხლი 10. კულტურის ცენტრის დაფინანსების წყაროები**

1. კულტურის ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

- ა) შუახვევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი;
- ბ) სპონსორებისაგან (სახელმწიფო და სხვა ორგანიზაციები, კერძო პირები, საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეები) მიღებული თანხები, შემოწირულობანი, სხვა სახის ფინანსური დახმარება;
- გ) შემოსავლები, რომლებიც მიიღება კონცერტების, გადაღებების, მათი კინო, ვიდეო და აუდიო ჩანაწერების ტრანსლიაციიდან.
- დ) შემოსავლები რომლებიც მიიღება ცენტრის მიერ სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირებისათვის გაწეული კულტურული მომსახურების შედეგად;
- ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

#### **მუხლი 11. კულტურის ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

კულტურის ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

#### **მუხლი 12. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

